პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 20 ნოემბერი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე — ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

264 (962) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განმანათლებლური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელსმენი 2—24
განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კოპ. სტრ.

## 8 წლის თავი.

დღეს შესრულდა 8 წელი მას შემდეგ, რაც საფუძველი ჩაეყარა მშრომელი ახალგაზრდობის ორგანიზაციას საქართველოში. 8 წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც რომ ქ. თბილისში ჩამოყალიბდა ერთი პატარა უჯრედი მშრომელი ახალგაზრდობისა, რომელშიც მაშინ შედიოდა მხოლოდ რამოდენიმე წევრი.

1917 წლის დიდმა რევოლუციამ გამოაფხიზლა საქართველოს მშრომელი ახალგაზრდობაც. მის წინაშე წამოიჭრა საკითხი თავისი საკუთარი ორგანიზაციის დაარსებისა და აქ დარაზმვის საჭიროების შესახებ. 1917 წელს ერთ და იმავე დროს მშრომელი ახალგაზრდობის ორგანიზაციები არსდებიან ქ. თბილისს გარდა გურია-სამეგრელოში, ქუთაისში, ხაშურში და სხ., რომლებიც პირველ ხანებში ატარებენ „სპარტაკელების" ჯგუფის სახელწოდებას. ამ ორგანიზაციებში მაშინ თავს იყრიდენ მუშურ-გლეხური ახალგაზრდები და ღარიბი მოწაფეები.

ძლიერ აუტანელ პირობებში უხდებოდათ მუშაობა საქართველოს ახალგაზრდათა ორგანიზაციებს. აუტანელ მდგომარეობაში იყო მშრომელი ახალგაზრდობაც. მათთვის ამ დროს არ არსებობდა 4-6-8 საათის სამუშაო დღე და შესაფერი შრომის ხელფასი. მათი ორგანიზაციები მუდამ დევნას და დარბევას განიცდიდენ მენშევიკური მთავრობისაგან. მაგრამ მიუხედავათ ყოველივე ამისა, საქართ. მშრომელი ახალგაზრდობის ორგანიზაციებმა შესძლეს კიდევ უფრო გაეფართოებიათ თავიანთი ორგანიზაციები, პოლიტიკურად კარგად მოემზადებიათ თავიანთი წევრები და გამოეცხადებიათ დაუნდობელი ბრძოლა კონტრ რევოლიუციონური მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ. გარდა ამისა კომკავშირის ორგანიზაციები ებრძოდენ იდეიურად საქ. ახალგ. „მარქსისტთა" და ფედერალისტთა ორგანიზაციებს და იქ მყოფ მშრომელ ახალგაზრდებს მოუწოდებდენ თავიანთი რიგებისაკენ.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ კომკავშირის ორგანიზაციები იწყებენ მუშაობის გაშლას და კომპარტიის ხელმძღვანელობით ღებულობენ აქტიურ მონაწილეობას სახელმწიფოებრივ მუშაობაში.

საქ. ახკომკავშირის ახალგაზრდობამ თავის რიგებში ჩააბა საქართველოს მუშური და გლეხური ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილი, რომელთანაც ის აწარმოებს დაუღალავ მუშაობას პოლიტიკურ აღმზრდელობის დარგში, და ამით ის კომპარტიას უმზადებს ღირსეულ რეზერვს.

დღეს 8 წლის თავზე საქარ. ახკომკავშირის ორგანიზაციები, რომლებიც რამოდენიმე წევრის ნაცვლად აერთიანებენ რამოდენიმე ათიათას ფხიზელ და გათვითცნობიერებულ წევრს, ჯამს გაუკეთებენ დღემდე გატარებულ მუშაობას და გამოსული წარსული გამოცდილებიდან კიდევ უფრო გააუმჯობესებენ და წინ წასწევენ თავიანთ მუშაობას მშრომელ ახალგაზრდობის საკეთილდღეოთ.

ჩვენმა წითელმა ჯარმა ღირსეულად უნდა აღნიშნოს ეს დღე ნაწილებში საერთო კრებებისა და მოხსენებების ჩატარებით, სადაც ფართოდ უნდა გაშუქდეს ის ამოცანები, რომელიც მინიჭებული აქვს ახალგაზრდობას შესასრულებლად, როგორც საერთოდ, ისე ჩვენი წითელი არმიის ნაწილებში.

## კომუნისტური მოძრაობა იზრდება და მტკიცდება.

მიუხედავად იმისა, რომ ბურჟუაზიულ ქვეყნებში სწარმოებს სასტიკი დევნა კომუნისტური მოძრაობის წინააღმდეგ, ეს უკანასკნელი მაინც იზრდება და ფართოვდება. ვერ შეეძლის ბურჟუაზიას ვერც ციხე, ვერც სახრჩობელა, ვერც გაყიდული სოციალ-დემოკრატიის ბველური სისინი. კომუნისტური პარტიის ზეგავლენა ფართო პროლეტარულ მასებზე დღითი დღე მატულობს და ვითარდება. ამას გვიმტკიცებს ჩვენ სინამდვილე, ცოცხალი ფაქტები.

უნგრეთის კაპიტალისტებმა და მემამულეებმა მოინდომეს კომპარტიისათვის თავის მოკვეთა მის ხელმძღვანელებისთვის სიცოცხლის გამოსალმებით. მაგრამ ვერ გაბედეს ეს. მათმა განზრახვამ ის მოიტანა, რომ კიდევ უფრო გაიზარდა კომპარტიის ავტორიტეტი უნგრეთის მშრომელ ხალხში.

ინგლისის ბურჟუაზიამაც მოისურვა „კომუნისტური საფრთხის" თავიდან აცილება. ისიც შეუდგა კომუნისტების ჭერას. მაგრამ მის და სავალალოდ სრულიად წინააღმდეგ შედეგებს მიაღწია. ინგლისის კომუნისტების დაჭერამ ის და გამოიღო შედეგათ რომ კომპარტიისადმი სიმპატია და ინტერესი გაორკეცდა ინგლისის პროლეტარიატში.

და არა თუ ამ ორ ქვეყანაში, სხვა ბურჟუაზიულ სახელმწიფოებშიაც კომუნისტური მოძრაობა დიდ შედეგებს აღწევს.

უკანასკნელ საპარლამენტო არჩევნებზე ჩეხო-სლოვაკიაში კომპარტიამ პირველი ადგილი დაიჭირა. მან მილიონზე მეტი ხმა მიიღო. და ეს იმ დროს, როცა ყველა პარტიები მას ებრძოდენ, როცა მთელი სახელმწიფოებრივი აპარატი მის წინააღმდეგ იყო ამუშავებული, როცა გამყიდველი სოციალ დემოკრატია საზიზღარ ჭორებსა და ცილისწამებებს ისვრი და მის მიმართ. და მიუხედავათ ყოველივე ამისა ჩეხოსლოვაკიის პროლეტარიატმა არჩევნებში ხმა მაინც კომპარტიას მისცა, ვინაიდან დაინახა მასში ერთად ერთი თავის დამცველი. არა ნაკლებ შედეგებს მიაღწია სხვა და სხვა არჩევნებზე ბელგიის, გერმანიის და სხვა ქვეყნების კომპარტიებმაც.

დასავლეთის კომპარტიები მტკიცედ და თანდათანობით იპყრობენ მუშათა კლასის ფართო ფენებს. ბურჟუაზია თავისი ტერორით და სოციალ დემოკრატია-ცილისწამებებით მხოლოდ ხელს უწყობენ კომპარტიის გავლენის ზრდას და მისი ავტორიტეტის ამაღლებას მუშათა კლასში.

და რამდენიც არ უნდა ებრძოლონ მსოფლიო მყვლეფელებმა და მათ საზიზღარ მოციქულებმა „კომუნისტურ საფრთხეს", სულ ერთია ისინი მაინც ვერ აიცილებენ მას თავიდან. ეს საფრთხე იზრდება ყოველ დღე, ყოველ საათში ადრე თუ გვიან ის თავს დაატყდება მათ გამომპალ კაპიტალისტურ წესწყობილებას და კიდევაც მოუღებს ბოლოს. ამის თავდებია დასავლეთის კომპარტიების მიღწევები ამ უკანასკნელ ხანებში.

—ე.

# ახალი რადიო-ამბები

## სამოქალაქო ომი ჩინეთში

### სვატოუ დაიკავა კანტონის ჯარებმა.

**ჩჟან-ძო-ლინსა და სახალხო არმიებს შორის ომი აუცილებელია.**

სვატოუს კანტონის ჯარების მიერ დაკავების შემდეგ ქალაქის მუშათა კავშირებმა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებმა განაახლეს თავიანთი მუშაობა.

— მიუხედავად ჩჟან-ძო-ლინისა და ფინ-იუი-სიანის შეთანხმებისა, მუკდენის ჯარები კიდევ არ გასულან შეთანხმებაში აღნიშნულ რაიონებიდან, ვითომდა საშუალებათა უქონლობის გამო.

იაპონიის ტელეგრაფის ცნობით, მიუხედავად დროებითი შეთანხმებისა, მუკდენში მყოფი მოხელეები აუცილებლად სთვლიან ომს ჩჟან-ძო-ლინსა და სახალხო არმიებს შორის.

## მაროკოს ომი გრძელდება.

### აჯანყებულებმა განაახლეს შეტევა.

**საფრანგეთ—ესპანეთის ჯარები მოგერიებას აწარმოებენ.**

მაროკოდან დაბრუნებული „მორნინგ პოსტ"-ის კორესპონდენტი სწერს:

„მაროკოს ომი არ დასრულებულა. აბდ ელ-ქერიმი შეტევაზე გადავიდა. საფრანგეთ—ესპანეთის ჯარები მოგერიებას აწარმოებენ. რიფები გააფთრებით თავს ესხმიან მტრის ჯარებს. რიფებმა გადაუჭრეს ხაზი და ჩაიმწყვდიეს 18.000 ესპანელი"

## ამხ. კალინინის დაბადების 50 წლის თავი.



ამხ. კალინინი.

დღეს სრულდება 50 წელი დღიდან ამხ. კალინინის დაბადებისა.

ამხ. კალინინი დაიბადა 1875 წლის ნოემბერში. მამამისი იყო გლეხი.

16 წლიდან ამხ. კალინინი უკვე მიდის ლენინგრადში და შედის მელითონე მუშად პუტილოვის ქარხანაში. მუშათა მოძრაობაში ის აქტიურ მონაწილეობას ღებულობს 1898 წლიდან.

რევოლიუციონურ ორგანიზაციაში მუშაობისათვის მას რამოდენიმეჯერ აპატიმრებენ. მან სხვა და სხვა დროს გაატარა ციხეში ოთხი წელი და გადასახლებაში 5 წელი. პარტიის წევრად ის ითვლება 1903 წლიდან. ამხ. კალინინი დიდის სიყვარულით სარგებლობდა მუშებსა და გლეხებს შორის.

1917 წელში ამხ. კალინინს ირჩევენ ლენინგრადის ქალაქის თავად. 1919 წელში მას ირჩევენ სრულიად რუსეთის ცაკის თავმჯდომარედ.

ამჟამად ამხ. კალინინი სრულიად რუსეთისა და საკავშირო ცაკის თავმჯდომარეა.

## კომუნისტები უძლიერესი პარტიაა ჩეხო-სლოვაკიის პარლამენტში.

**მენშევიკების ცილისწამება.**

დეპუტატთა პალატის არჩევნებში კომუნისტებმა მიიღეს ერთი მილიონი ხმა. ამ რიგად კომუნისტები უძლიერეს პარტიას შეადგენენ ახალ პალატაში.

ჩეხიის სოციალ დემოკრატიული გაზეთი „პრავოლიდუ" იმეორებს ბურჟუაზიული გაზეთების ცილისწამებას. ის აცხადებს, რომ საბჭოთა მისია ჩეხო—სლოვაკიაში ეწევა ჯაშუშობას.

## გაფიცვები შოტლანდიის მაღაროებში.

პერტას რაიონის ქვანახშირის მაღაროებში გაიფიცა მექანიკი მუშები. მუშაობა შეწყვეტილია ყველა მაღაროებში. გაფიცულები მოითხოვენ სამუშაო ხელფასის მომატებას.

## უმუშევრობა გერმანიაში.

**ბერლინში ამ ჟამად ითვლება 65 000 უმუშევარი.**

უკანასკნელ ორი კვირის განმავლობაში ბერლინში (გერმანიაში) უმუშევართა რიცხვი 7 000 კაცით გაიზარდა. ამ ჟამად უმუშევართა რიცხვი უდრის 65 000.

ბერლინის ლითონის ქარხნებიდან ახლო მომავალში გაგრძელდება მუშების დათხოვა.

23 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის დარბაზში მოწვეულია ტფილისის აღმასკომის მორიგი სხდომა, თემ-აღმასკომების თავმჯდომარეების თანდასწრებით.

**დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:**

1) ტფილისის აღმასკომის 1925/26 წ. ბიუჯეტის განხილვა.

2) ინფორმაცია ადგილებიდან.

პრეზიდიუმი.

## აფერისტი მინისტრი.

ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრმა მატაიმ მიიღო 20.000 აქცია შეღავათიან პირობებში ღერმანის საბანკო ფირმიდან. ამ საქმეზე დანიშნული იყო პარლამენტის მიერ კომისია, რომელმაც გამოარკვია, რომ მატაის ვიწრო კავშირი ჰქონდა ბიდერმანთან თავისი მეგობრის საშუალებით. მაგრამ ვერ გამოარკვიეს საიდან აიღო მატაიმ 9.000 დოლარი ამ აქციების გასასწორებლად. ბიდერმანის ბანკს ფართე დახმარებას უწევდა მატაი ახლო მეგობრების საშუალებით.

## პოლონეთის ახალი მთავრობის შემადგენლობა.

პოლონეთის ახალი მთავრობისთვის ასახელებენ შემდეგ შემადგენლობას: მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა მინისტრი—სკშინსკი. თავმჯდომარის მოადგილე—მორაჩევსკი, მენშევიკი, შინაგან საქმეთა—რაშკევიჩი ან ხარჩინსკი,(ქრისტიანი დემოკრატები); მიწადმოქმედების—პონიატოვსკი; მიწის რეფორმების—ოსეცკი; ვაჭრობა-მრეწველობის—ხონდინსკი (ეროვნულ-მუშათა პარტია); იუსტიციის—მაკოროვიჩი; გზათა—ბარტელი; შრომის—ზემენცევი მენშევიკი, განათლების—სტანისლავ გრაბსკი; სახალხო დემოკრატი.

მენშევიკები მოითხოვენ სიკორსკის გასვლას მთავრობიდან.

სიკორსკის განკარგულებით პოლიციამ იარაღი ჩამოართვა პილსუდსკის მომხრე ზოგიერთ ორგანიზაციებს.

## საბჭოთა კავშირში.

### შინა და საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატების გაერთიანება.

### გაერთიანებულ კომისარიატების სახალხო კომისრად დაინიშნა ციურუპა, მოადგილეებად—კრასინი და შეინმანი.



ამხ. ციურუპა.

საბჭოთა კავშირის ცენტრალურ აღმასკომის პრეზიდიუმმა დაამტკიცა სახალხო კომისართა საბჭოს მიერ წარდგენილი დადგენილება საგარეო და შინა ვაჭრობის სახალხო კომისარიატების გაერთიანების შესახებ.

გაერთიანებულ კომისარიატების სახალხო კომისრად დაინიშნა საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ციურუპა.

შინა და საგარეო ვაჭრობის კომისრის მოადგილეებად ინიშნებიან კრასინი და შეინმანი.

## მისალმების დეპეშები ამხ. კალინინს.

სრულიად რუსეთის ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა გაუგზავნოს კალინინს მისი დაბადების 50 წლის თავზე მილოცვის დეპეშა უკრაინის მთავრობისა და ყველა მშრომელთა სახელით.

ამხ. კალინინს მილოცვის დეპეშა გაუგზავნა აგრეთვე სამეცნიერო აკადემიამ.

## კარლ მარქსის ძეგლი.

საბოლოოდ გადაწყდა სვერდლოვის ქუჩაზე (მოსკოვში) კარლ მარქსის ძეგლის დადგმის საკითხი. ძეგლი აგებულია მოქანდაკე ალიოშინის გეგმით. ძეგლს აქვს მარმარილოს საძირკველი, რომელზედაც ბრინჯაოსგან გამოკვეთილია ჯგუფი: მუშა, გლეხი, წითელ არმიელი, მუშა-ქალი და პიონერი.

## შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მიმართვა.

სსრკ-ს უმაღლეს სამეურნეო საბჭოს პრეზიდიუმმა დაუგზავნა საკავშირო რესპუბლიკების უმაღლესს სამეურნეო საბჭოებს შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის ამხ. კამენევის მომართვა.

მომართვაში ნათქვამია, რომ სოფლის ნაწარმოების რაოდენობა აღემატება სოფლად დაგზავნილ ქალაქის ნაწარმოების რაოდენობას. გლეხთა მოთხოვნილება სათანადოდ ვერ კმაყოფილდება. ეს რამოდენიმედ ხდება იმიტომ, რომ ახელმწიფო საკრედიტო ორგანიზაციები აწარმოებენ ვაჭრობას, რაიც აკრძალულია წესდების თანახმად. სათანადო ორკანოები ვალდებული არიან პირველ ყოვლისა გააძლიერონ კოოპერაციების მომარაგება და ამ გზით დააკმაყოფილონ სოფლის მოთხოვნილება.

## გვეხმარებით თუ ხელს გვიშლით?

მე აქ არ შევუდგები იმ მნიშვნელობათა ჩამოთვლას, რომელიც აქვს ბიბლიოთეკას და განსაკუთრებით კი წიგნს წითელი ჯარისათვის და ფართო მასისათვის.

ბიბლიოთეკა-ქოხ-სამკითხველოებით ამ ჟამად უხვად არის მოფენილი არამც თუ დაბა-ქალაქებში, არამედ მივარდნილი სოფლებშიაც კი.

ყველა პატიოსანი და შეგნებული მოქალაქე ვალდებულია ხელი შეუწყოს ბიბლიოთეკა სამკითხველოებს და მათ მუშაობას.

მაგრამ ეს ვერ შეუგნია ყველას და თუ აქვს შეგნებული არ აქცევს მას ყურადღებას ვითომც მას არ ეხებოდეს ეს.

ყველაზე კარგად, ბიბლიოთეკების მნიშვნელობა იცის ჩვენმა უფროლიტშემადგენლობამ, მაგრამ ისინი უწევენ მას დახმარებას?

ისინი გვეხმარებიან ჩვენ,ბიბმუშაკებს ყოველ დღიური მუშაობაში? სრულიად არა. (გვეხმარება მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი). პირიქით გვიშლიან კიდევაც ხელს და აი რა მხრით; მიაქვთ მათ ბიბლიოთეკიდან წიგნები და 1—2 თვის განმავლობაში არ აბრუნებენ, ბევრი კარგავენ კიდეც წაღებულ წიგნებს. მიუხედავათ ხვეწნა მუდარისა, მიუხედავათ წინადადებების მიცემისა რათა მათ მიერ წაღებული წიგნები იქნეს დაბრუნებული, ისინი მაინც ყურსაც არ იბერტყენ და არ იწუხებენ თავს აცნობონ ან მისცენ პასუხი ბიბმომუშავეებს თუ რა მიზეზის გამო არ აბრუნებენ წიგნებს.

ყოველივე კი ეს ხდება იმ დროს, როდესაც მათ მიერ წაღებულ წიგნებს სხვაც თხოულობს და ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება არ ძალგვიძს, რადგან წიგნი წაღებულია უკვე 1 თვეზე მეტი და ჯერ კიდევ არ არის დაბრუნებული.

მაგალითისათვის მოვიყვან ერთ ამხანაგს: მე-3-ე ლეგიონის ოცეულის მეთაურმა კაკო მიქელაძემ 1-ლ ქართ. მსრ.დივ-ბიბლიოთეკიდან 5 სექტემბერს წაიღო წიგნი „კვაჭი კვაჭანტირაძე“ და მიუხედავათ წინადადებებისა,მიუხედავათ ოფიციალური მიმართვისა, რომელიც იყო გაგზავნილი დივპოლიტგანიდან, წიგნი დღესაც კი არ არის დაბრუნებული ბიბლიოთეკაში. ასეთი მაგალითები ბევრია. აი იმ ამხანაგებს, რომელთაც ეხებათ ეს წერილი ვეკითხები—ბიბლიოთეკისადმი ასეთი მოპყრობა არის თუ არა დანაშაული? ამის შემდეგ რა პასუხი უნდა მოვსთხოვოთ იმ ამხანაგებს, რომელნიც განვითარებით და ცოდნით მათზე დაბლა სდგანან,წიგნის დაგვიანებისათვის ან და წაღებული წიგნის დაკარგვისათვის?

უფროსო ამხანაგებო! თქვენგან მოველით ჩვენ ბიბმუშაკნი დახმარებას,რათა გაერთიანებული ძალ—ღონით მივაღწიოთ მიზანს, რომ პირნათლად შევასრულოთ ჩვენი დიადი მასწავლებელი ლენინის ანდერძი „წიგნი მასებში“

დივბიბგამგე მ. კალაძე.

## ახალწვეულო, დაეწაფე სამხედრო სწავლას.

### წითელი არმიელის დამოკიდებულება უფროსთან.

**მეთაური შენი ამხანაგია. ის პასუხისმგებელია შენს მოქმედებაში. ის შენი ხელმძღვანელია ბრძოლაში.**

„წითელი სახსოვარის“ მე-14 მუხლში წითელ არმიაში მეთაურისა და კომისარის მნიშვნელობის შესახებ ამხ. ტროცკი ამბობს: „მეთაურს უწევს წაიყვანოს თავისი ნაწილი ბრძოლაში. ის დაუღალავად ემზადება და ამზადებს სხვებსაც. მისი ძირითადი ამოცანაა მოამზადოს წითელ არმიელები და შეაკავშიროს ის საბრძოლო ერთეულში, რომელსაც შეეძლებოდეს იარაღის ხმარება და ადგილმდებარეობასთან შეხამება.“

„კომისარი მუშურ გლეხური სახელმწიფოს თვალია. მისი ამოცანაა აღზარდოს წითელ არმიელი შეგნებულ რევოლიუციონერ მებრძოლად და უზრუნველყოს ერთგულება წითელი არმიისა და საბჭოთა მთავრობისადმი“.

აქედან ცხადია, თუ რა საპასუხისმგებლო ამოცანა აწევს მეთაურსა და კომისარს ხოლო რაკი ეს ასეა, მაშინ მეომარიც ყურადღებითა და პატიოსნად უნდა მოეპყროს მეთაურებისა და კომისრების ყოველ განკარგულებასა და დარიგებას. მეთაური და კომისარი პასუხისმგებელი არიან თავის ნაწილისა და თავიანთ მოქმედებაში. ჩვენ ვიცით, თუ როგორ უფრთხილდება თვითეული პატიოსანი მოქალაქე თავის ღირსებას.

ამიტომ თვითეული სამხედრო მსახური უნდა იქცეოდეს თავს სამსახურში მეთაურთან და კომისართან,როგორც ხელქვეითი, ხოლო სამსახურის გარეშე—როგორც უმცროსი ამხანაგი. ამასთან მეთაურისა და კომისრის მხრივ ადგილი არ უნდა ჰქონდეს რაიმე უხეშობას, მაგალითად: გინებას, ლანძღვას, გამასხარავებასა და მით უფრო ხელით შეხებას. ყველაფერი აგებული უნდა იყოს ურთიერთ პატივისცემაზე, თუ რომ ერთი რომელიმე მხარე არ აასრულებს ამ კანონიერ წესებს, ნაწილი არაფრად არ ეღირება, არ იქნება ბრძოლის უნარიანი და ასეთი კომისარი და მეთაური ვერ აღზრდიან შეგნებულ რევოლიუციონერ—მეომარს.

ახალგაზრდა წითელ არმიელს ეს კარგად უნდა ახსოვდეს და იმ თავითვე უნდა შეიგნოს რომ სამსახურში ის არის მეთაურისა და კომისრის ხელქვეითი და არავითარ გაუგებრობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. თავისუფალ დროს თვითეული მეომარი, როგორც საბჭოთა კავშირის მოქალაქე, რომლის პიროვნება და ღირსება ხელუხლებელია, თანაბარი უნდა აყოს საბჭოთა კავშირის ყველა მოქალაქეებთან და უნდა ახსოვდეს, რომ რესპუბლიკის ყველა კანონები და სამხედრო ტრიბუნალები მის უფლებებს, პიროვნებასა და ღირსებას იცავენ.

ი. ბარ.

## შეისწავლე 1905 წლის რევოლიუცია.

### მუშათა დეპუტატების საბჭოები 1905 წელში.

მუშათა დეპუტატების პირველი საბჭო დაარსებულ იქნა ივანოვო-ვოზნესენსკის მუშების მიერ 1905 წლის ზაფხულის გაფიცვების დროს. ეს ახალი მუშური ორგანიზაცია შეჰქმნა თვით მუშებმა რევოლიუციონურ ბრძოლაში. ამ რიგადვე ოქტომბრის საყოველთაო გაფიცვების დასაწყისში წარმოიშვენ საბჭოები პეტერბურგსა და მოსკოვში.

1917 წლის ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ საბჭოები ხელისუფლებად გადაიქცენ. ხოლო 1905 წელში ისინი ხელისუფლების ჩანასახს წარმოადგენდენ.

ისინი შექმნილი იყვნენ იმისთვის, რათა ეხელმძღვანელათ მუშების რევოლიუციონურ ბრძოლისთვის ქალაქებში. სოფლებში ბოლშევიკების მოწოდებით იქმნებოდენ რევოლიუციონური კომიტეტები. მაგრამ ისინი ცოტა იყო და არ ჰქონდათ ისეთი გავლენა, როგორც მუშებს ქალაქებში. გლეხობა კიდევ არ იყო იმდენად მომზადებული, რომ გადამჭრელი ბრძოლა დაეწყო თვითმპყრობელობასთან: ამიტომ გლეხთა საბჭოებმა ვერ მოასწრეს გაძლიერება მთელ რუსეთის ტერიტორიაზე.

პეტერბურგის მუშათა დეპუტატების საბჭომ მაგალითი უჩვენა დანარჩენ საბჭოებს. მან დაიწყო თავის რევოლიუციონური მუშაობა 26 ოქტომბერს და იარსება სულ 25 დღე. ის შესდგებოდა მუშათა წარმომადგენლებისაგან: 500 კაცზე—ერთი დეპუტატი.

პირველ სხდომებზე საბჭომ დაადგინა მოსთხოვოს ბურჟუაზიულ ქალაქის სათათბიროს, რათა მან მოამარაგოს სურსათით გაფიცული მუშები, შესწყვიტოს ხარჯები პოლიციისა და ჟანდარმების შესანახად და ამის მაგივრად გასცეს ფული მუშების შესაიარაღებლად. მეფის მოკავშირე ბურჟუაზიამ, რა თქმა უნდა, ამაზე უარი განაცხადა.

30 ოქტომბერს გამოვიდა მეფის მანიფესტი თავისუფლებათა შესახებ. მუშათა დეპუტატების საბჭომ კარგა ხანია გაუშინჯა კბილი მეფის მთავრობასა და მის დაპირებებს. მან (საბჭომ) განაცხადა, რომ „რევოლიუციონური მუშები არ დაჰყრიან იარაღს მანამ, სანამ დაარსებული არ იქნება დემოკრატიული რესპუბლიკა“.

4 ნოემბერს საბჭომ დაადგინა შესწყვიტოს საყოველთაო გაფიცვები და შეასვენონ მუშები თვითმპყრობელობასთან ბრძოლისთვის მოსამზადებლად.

მოსახლეობაში საბჭომ დიდი ნდობა დაიმსახურა. მას „მუშათა მთავრობას“ უწოდებდენ. მასთან მიდიოდენ საჩივრებით, ასრულებდენ უსიტყვოდ ყველა მის განკარგულებას. იმ დროს როცა მინისტრების საბჭოს ნებადაურთველად არ შეეძლოთ დეპეშის გაგზავნა და მიეღოთ მატარებელი,—ტელეგრაფი, რკინისგზები და სხვა საბჭოების განკარგულებაში იყო.

მეფის მთავრობა ვერ ბედავდა საბჭოს დაპატიმრებას, სანამ არ იქნა დამარცხებული რევოლიუციის მთავარი ძალა-მუშათა კლასი.

ნოემბრის დასაწყისში იფეთქა კრონშტადტის მეზღვაურთა აჯანყებამ. მეფის მთავრობამ ჩაახშო ეს აჯანყება. აჯანყებულ მეზღვაურებს მოელოდა სიკვდილით დასჯა. საბჭომ დაადგინა გაფიცვების გამოცხადება მოთხოვნილებით-შეცვლილიყო საველე სასამართლო და სიკვდილით დასჯა. 15 ნოემბერს მოხდა გაფიცვები. სამ დღეში მთავრობა დათმობას დაადგა და მოხსნა სამხედრო-საველე სასამართლო.

დეკემბერში, მოსკოვის შეიარაღეულ აჯანყების დასაწყისში, თვითმპყრობელობამ გადასწყვიტა თავს დასხმოდა პეტერბურგის საბჭოსაც.

9 დეკემბერს დააპატიმრეს საბჭოს თავმჯდომარე ხრუსტალევ-ნოსარი. საბჭომ მოუწოდა მუშებს, გლეხებსა და მთელ მოსახლეობას-შესწყვიტონ ბეგრის გადახდა და მოითხოვონ ხელფასი ოქროთი.

ერთ კვირის შიგნით მთავრობამ გადასწყვიტა ახალი ლახვარი ჩაეცა რევოლიუციისთვის: მან 16 დეკემბერს დააპატიმრა მუშათა დეპუტატების საბჭო. მუშებს აღარ ყოფნიდა ძალები დაეცვა თავიანთი ბელადი და ხელმძღვანელი.

მუშათა საბჭოები სხვა ქალაქებში არსებობდა. აქა-იქ მაისში მონაწილეობდენ ჯარისკაცთა დეპუტატებიც. მოსკოვში თუმცა მოკლე დროით, ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოც კი იქნა შექმნილი.

მთელს ქვეყანაში რევოლიუციასთან ერთად თვითმპყრობელობამ გაანადგურა საბჭოებიც. მაგრამ 12 წლის შემდეგ, 1917 წელში საბჭოები კვლავ აღსდგენ და მუშურ-გლეხური ხელისუფლების ძლიერ ორგანოებად გადაიქცენ.

ი. ფ.

# ახალწვეულები წითელ ყაზარმაში

## ახალწვეულის შთაბეჭდილება.

დიდი ხალისით და აღფრთოვანებით მოვდიოდით წითელ ჯარში, იმ იმედით, რომ წინასწარ ვიცოდით, წითელი ყაზარმა ჩვენ სკოლის მაგიერობას გაგვიწევდა; ვიცოდით რომ წითელ ჯარში ჩვენ მივიღებდით როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკურ და სხვა ცოდნას.

ეს ნათლად გამოირკვია ჩვენი პოლიტხელების საუბრებიდანაც. მრავალ წითელ არმიელებს, რომელთაც წერა-კითხვაც კი არ სცოდნიათ სანამ ჯარში გაიწვევდნენ, დღეს ორივე იციან და პოლიტიკურ საკითხშიაც თავისუფლათ ერკვევიან.

ყაზარმაში მისვლისთანავე როგორც მეთაურები ისე წითელ არმიელები თანაგრძნობით და მხიარულათ შეგვეგებენ და ყველანი სიამოვნებით გვიპასუხებდნენ ჩვენს ყოველგვარ შეკითხვებზე. უკვე 9 დღე გადის კარანტინში ვიმყოფებით და ამ ხნის განმავლობაში ჩვენ ყველანი დაგვასუფთავეს და გამოგვაწყვეს წითელი არმიელის ფორმაში; საგებ-სახურავიც მოგვცეს და სისტემატ. გავყევართ საწყობრო ვარჯიშობაზე, რის შემდეგ ატარებენ პოლიტ-საათს რომელიც დიდად გვაინტერესებს და გულმოდგინეთაც უსმენთ ყველა საუბრებს.

ახალწვეული.

## ახალწვეულები 2-ე ლეგიონში.

14 სექტემბრიდან იხურება კარანტინი და ახალწვეულები რიგ-რიგობით მიჰყავთ აბანოში და აწყობენ სამხედრო ფორმაში. უცხო ტანისამოსში ახალწვეულნი ერთი მეორეს ვეღარ სცნობენ და გვარების ძახილი უხდებათ.

აბანოდგან გამოსვლის შემდეგ არის ყიჟინა სიმხიარულე, სიმღერა, სიცილი, თამაში და სხვა. ყაზარმებში დაბინავების შემდეგ ისინი გაეცვნენ ძველ წითელ არმიელებს და შეუდგენ საერთო მუშაობას.

შემოესივნენ ლენკუთხეს და სიხარულით დაეწაფენ წიგნებს, გაზეთებს, ათვალიერებენ სხვა და სხვა ბელადების სურათებს, შინჯავენ დიაგრამებს და ეცნობიან ყაზარმის ცხოვრებას ძველი წ. არმიელების დახმარებით.

გამხიარულდა ჩვენი ყაზარმები, გამოცოცხლდა ლენინის კუთხე. ახალწვეულ მოწაფეების მოსვლით ის უკვე ასრულებს თავის დანიშნულებას.

ყველა ასეულებში მიმზიდველი სურათია: ყველა კითხულობს, ყველა ათვალიერებს, საუბრობენ და სხვა.

საღამომდე ასეულებში სიხიარულეა. საღამოს 9 საათზედ ახალწვეულებს იწვევენ თეატრში, სადაც იდგმება პიესები, რითაც ძალიან კმაყოფილი არიან ისინი.

რაც შეეხება მეცადინეობას ჯერ ის არ დაწყებულა სისტემატიურად თუ მხედველობაში არ მივიღებთ პოლიტხელების საუბრებს, რომლებსაც ისინი გულმოდგინეთ ატარებენ ახალწვეულებში.

აღსანიშნავია ის, რომ ახალწვეულნი ბეჯითად ეკიდებიან კულტურულ მუშაობას. გაზეთ „წითელ არმიელი" ძლიერ აინტერესებთ, შეიყრიან ეზოში თავს და ერთი რომელიმე ხმამაღლა კითხულობს მას, სხვები კი უსმენენ გულმოდგინეთ. ეცნობიან გაზეთის საშუალებით სხვა და სხვა ლეგიონის ცხოვრებას, საერთაშორისო მდგომარეობას და სხვა რაც მათ ძალიან აინტერესებთ.

უფრო დიდ ყურადღებას აქცევენ გაზეთში, სხვა ნაწილების ახალწვეულებს, რომლებიც შეკრებილან სამხედრო ცოდნის შესასწავლათ.

პოლიტხელები თითქმის ვერ ასწრებენ შეკითხვებზედ პასუხის მიცემას, რადგან ყველა იძლევა აუარება საკითხებს. პოლიტხელმძღვანელები ასეულიდან ძნელად დააღწევენ თავს სხვა რამე საქმის გასაკეთებლათ, რადგან მუდამ საუბრობენ მათ ირგვლივ ახალწვეულები.

სამხკორი ვ. ღ.

## 1-ლ დივიზიის საგარნიზონო კლუბში.

როგორ ერთობიან ახალწვეულები.

საღამოს 7 საათია. ახალწვეულები თავის ნაწილებიდან ჯგუფ-ჯგუფად მიეშურებიან ქალაქის ცენტრში არსებული დივიზიის კლუბისაკენ, რომელშიც თავს იყრიან ახალწვეულები და ერთობიან სხვა და სხვა სათამაშოებით: ნარდით, ჭადრაკით და სხვა. კლუბის სამხედრო კუთხე, რომელიც ყველაზედ მეტად იზიდავს ახალწვეულებს. ყოველი მათგანი ყურადღებით ათვალიერებენ სხვა და სხვა სახელოწიფოების ნიმუშის აირ-საწინაღმდეგო ნიღბებს და გაუგებარ კითხვებს უშვებენ იქვე დადგმულ ყუთში, რაზედაც მეორე დღესვე ღებულობენ კედელზე გაკრულ პასუხს. ახალწვეულების გარდა კლუბში ყოველ საღამოს იყრიან თავს მუშა-მოსამსახურენი, კომკავშირის წევრები და პიონერები. კლუბში არსებობს ჭადრაკის შემსწავლელი წრე, რომელსაც ხელმძღვანელობს თვით კლუბის გამგე ამხ. ნ. მელიქიძე.

სამხკორი ლიუდოვიკი.

## მტკიცედ ვიმუშავებთ წითელი ჯარის საკეთილდღეოდ.

პირველი ლეგ. ახალწვეულები.

სენაკის სამაზრო სამხედრო კომისარიატში უკლებლივ შევიკრიბეთ ამავე მაზრის ახალწვეულები.

კომისარიატი საკმაოდ მომზადებული დაგვიხვდა. იქვე გაგვიმართეს საუბრები წითელ ყაზარმისა და წითელი არმიის მნიშვნელობის შესახებ და გვაძლევდენ სხვა და სხვა დარიგებებს.

7 ნოემბერს მოგვცეს ორი რონოდა და გადმოგვაგზავნეს პირველ ლეგიონში. რონოდები წითელი დროშებითა და ყვავილებით მორთეს ახალწვეულებმა გზა და გზა, სადგურებში ჩვენც მონაწილეობას ვღებულობდით სადღესასწაულო ზეიმში. ყველას ძლიერ მოუხაროდა ყაზარმისაკენ, სადგურზე ორკესტრით დაგვიხვდა პირველი ლეგიონის შემადგენლობა. იქვე გაიმართა შეხვედრი საზეიმო მიტინგი. მისალმებების შემდეგ მუსიკით წაგვიყვანეს ლეგიონში. ახალწვეულები განცვიფრებული დავრჩით ასეთი მოულოდნელი და თბილი შეხვედრით. ამ ჟამად მოთავსებული ვართ კარანტინში, სადაც შემოდიან ჩვენთან ხელმძღვანელი და ძველი წითელ არმიელი ამხანაგები, რომლებიც გვესაუბრებიან და გვაცნობენ წითელი ჯარის ცხოვრებას, მის დისციპლინას და მნიშვნელობას.

მეთაურებისაგან ასეთი მზრუნველობითა და ამხანაგური მოპყრობით განცვიფრებაში მოვდივართ. სჩანს რომ წითელი ყაზარმა ბევრ რამეს შეგვძენს.

კარანტინში ყოველ დღე მოგვდის ჟურნალ-გაზეთები და ბროშიურები. წერა-კითხვის უცოდინარებს ხმამაღლა უკითხავთ.

ლეგ. მთელი ახალწვეულები დიდ მადლობას უძღვნით 1-ლი ლეგიონის მეთაურებს და ძველ არმიელებს ასეთი შეხვედრისათვის. ვუსურვებთ ნაყოფიერი ყოფილიყოს ჩვენი გაერთიანებული მომავალი მუშაობა, ლეგიონის საკეთილდღეოთ.

ახალწვეული ბ. ცისპირელი.

## ნაყოფიერად ვმეცადინეობთ.

მე-5 ლეგ. სკოლა.

ლეგიონის სკოლა თავიდანვე ენერგიულად შეუდგა მეცადინეობის წარმოებს. კურსანტები გულმოდგინეთ ეკიდებოდინ ყველა დავალებებს და მთელი პროგრამა სწორედ ამიტომაა, რომ კარგი ხანია დავამთავრეთ.

ამ ჟამად სწარმოებს განვლილის განმეორება.

პოლიტხელი ავალებს კურსანტებს გავლილიდან მოხსენებების გაკეთებას, რაც დიდი ხალისიანობით სრულდება. გამეორებამ გამ არკვია, რომ კურსანტები კარგად არიან მომზადებული. ჩქარა მოხდება გამოცდები და აქ კიდევ უფრო დამტკიცდება მათი მომზადება.

სულ რამოდენიმე დღე და ისინი დაგზავნილი იქნებიან ლეგიონის წერტებზე. იმედია ენერგიულად შეუდგებიან ახალ წვეულებთან მეცადინეობას.

გ. კუპრაშვილი.

## უმცროს მეთაურთა გამოშვება და ახალწვეულთა შეხვედრა.

მე-6 ტერლეგიონი.

მშვენიერი დღეა. ნაწილში რაღაც არაჩვეულებრივი მუშაობაა. სკოლის კურსანტების სიხარულს საზღვარი არ აქვს, ვინაიდან დღეს ხდება მათი გამოშვება. დღეს უკვე ისინი ღებულობენ მეტათ საპასუხისმგებლო სახელწოდებას „ათისთავი".

თუ შევხედავთ და ამსახელწოდებას გავითვალისწინებთ ეს მეტად მძიმეა. ათისთავი ეს უნდა იყოს სული და გული წითელ არმიელებისა რადგან წითელ არმიელების, პირველი უფროსი ის არის და ყოველთვის ის გაიგებს პირველად წ. არმიელის ჭირვარამს.

დღის 4 საათზე გაიმართა საზეიმო სადილი, სადაც მრავალი სიტყვები ითქვა ათისთავის მოვალეობასა და მის მნიშვნელობაზე.

საღამოს კი სრულ 7 საათზე კლუბი სავსეა როგორც ახალწვეულებით და კურსანტებით ისე სხვა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებით.

ლეგსამხკომი ხსნის საზეიმო სხდომას ლეგიონის უნცროს მეთაურთა გამოშვებისა და ახალწვეულთა შეხვედრის გამო. მუსიკა ასრულებს ინტერნაციონალს... ირჩევა პრეზიდიუმი 9 კაცის შემადგენლობით, რის შემდეგ სიტყვებს ამბობენ ამხ. ამხ. ქადაგიშვილი, გრიგოლია, ჭეჭანიძე, ყურაშვილი, ლორთქიფანიძე და სხვები, რომლებიც ახალ ათის თავებს, მოუწოდებენ შეესრულებიოთ თავიანთი მოვალეობანი მშრომელთა ინტერესების დასაცავად.

საპასუხო სიტყვებით გამოვიდნენ ათისთავები ხუციშვილი და ბალანჩივაძე, რომლებიც ფიცს სდებენ ახალ ათისთავების სახელით, რომ იბრძოლებენ უკანასკნელი სისხლის წვეთამდე; წითელ არმიელთა აღსაზრდელად და პროლეტარიატის საქმის განსამტკიცებლად.

ბოლოს სიტყვით გამოვიდა ახალ წვეული ამხ. მუსერიძე, რომელმაც ახალწვეულების სახელით განაცხადა რომ „ის მშრომელი ახალგაზრდობა რომელსაც თავი მოუყრია ჩვენს ლეგიონში ღრმად არის დარწმუნებული, რომ წითელი ყაზარმა არის რევოლიუციონური სკოლა. პირად ჩემი შეხედულება წითელ ჯარზე არ იყო ასეთი, მაგრამ, როდესაც მე თვითონ გავხდი მისი ღირსეული წევრი დავრწმუნდი, რომ წითელი ჯარი, წითელი ყაზარმა ძლიერ განირჩევა ძველი. ყაზარმისაგან ჩვენ მთელი ჩვენი ძალღონით, მთელი ჩვენი ენერგიით და დიდის ენთუზიაზმით ჩავებმებით ნაწილის მთლიან საქმიანობაში და ჩვენზე დაკისრებულ მოვალეობას პირნათლად შევასრულებთ.

ამის შემდეგ წაკითხულ იქნა სია იმ კურსანტებისა, რომლებმაც დაამთავრეს სკოლა.

სულ სკოლა დაამთავრა 61 კურსანტმა, ათათში საუცხოვოთ პირველმა ხუთმა.

სიის წაკითხვის შემდეგ ეს 5 ამხანაგი გამოიყვანეს სცენაზე და მათ ლეგთავმა დაურიგა საათები და უკანასკნელად მისცა მათ ნაკაზი მომავალი მუშაობისათვის.

საზეიმო სხდომა ამით დამთავრდა, რის შემდეგ დრამწრის მიერ დადგმულ იქნა 1. „ძველი და ახალი ყაზარმა".

და 2. „ტიმოთეს ლელვი". ძველ და ახალი ყაზარმის შინაარსი წინდაწინვე გადაცემულ იქნა აუდიტორიისათვის. პიესები დამაკმაყოფილებლათ იქნა ჩატარებული რითაც დამსწრე საზოგადოება და მით უმეტეს ახალწვეულები ძლიერ კმაყოფილნი დარჩნენ.

სამხკორი ე—ლი.

## პოლიტანკესი.

მეთაურთა სკოლის უმწყობრო და სამწყობრო გუნდები.

17 ნოემბერს მეთაურთა სკოლის აღნიშნულ გუნდების არმიელებისათვის მოეწყო პოლიტანკესი.

ჩაუშვებდენ წითელ არმიელები ანკესს საგანგებოთ გაკეთებულ „ბუტკაში" და ამოჰქონდათ სხვა და სხვა საკითხები, უმთავრესად ასეთი ხასიათის: საბჭოები სოფლად, კოოპერატივი და მისი მნიშვნელობა სოფლად, ქოხ-სამკითხველოები და სოფლკორები.

წითელ არმიელები დიდი ინტერესებით მოეკიდენ ყველა საკითხებს და სათანადო პასუხსაც იძლეოდენ. კარგ მოპასუხეს ასაჩუქრებდენ რვეულებით, ფანქრებით, ბროშიურებით და ბელადების სურათებით. ვინც ვერ შესძლებდა ამოღებულ კითხვაზე პასუხის გაცემას, მას „ბუტკაში" ჩაშვებულ ანკესზე ამოუვიდოდა დიდი ბოლოკი.

იშვიათი მხიარულებით ჩატარდა პოლიტგამოცდის ეს წესი.

კარგი იქნება ხშირად მოაწყობდენ ასეთ შეჯიბრითი ხასიათის გამოცდას, რომელიც დიდ ინტერესს იწვევს ჩვენში, და თან გვამეორებიებს გავლილ პოლიტსაათებს.

წ. არმ. აღნიაშვილი.

## მოვაწყვეთ სამხედრო კუთხე საშეფო სოფელში.

მე-6 ლეგ. მე-5 ასეული.

სამხედრო კუთხეების მოწყობა ყველგან ვერ შევსძელით ჩვენი ძალების საშუალებით კუთხეები დავაარსეთ მხოლოდ თვით ასეულში და საშეფო სოფელში. სხვა ადგილებში კუთხეების მოწყობაში ხელი შეგვიშალა უსახსრობამ. მაგრამ გამოსავალი გზა მაინც მოვძებნეთ: დაუკავშირდით ადგილობრივ პოლიტ-განათლების ინსტრუქტორს, რომელთან ერთად პირველი სხდომა გვქონდა 14 ნოემბერს, გასარჩევი იყო სამხკორთა კუთხის მოწყობის საკითხი. წაკითხულ იქნა პოლიტ-სამმართველოს საამისო ცირკულიარი, გაერთიანებულმა სხდომამ ამის შემდეგ გადასწყვიტა.

პირველად მოეწყოს სამხედრო კუთხე თვით ქალაქ ზუგდიდის კლუბის შენობაში, 2) ეთხოვოს კლუბის გამგეობას, რათა საამისო თანხა გაიღოს, 3) დაევალოს ამხ. ბალათურიას, მოაწყოს ეს საქმე პოლიტ-განათლებასთან შეთანხმებით, 4) კუთხისთვის გამოწერილი იქნას გაზ. „წითელ არმიელი" და სხვა.

შემდეგ, როდესაც ზუგდიდში მოეწყობა კუთხე პრაქტიკა თვით შეგვაძლებინებს მის სოფლად გადატანას, სადაცკი არსებობენ ქოხ-სამკითხველოები.

შემდეგ წამოიჭრა საკითხი ასეულის ბიბლიოთეკის სიღარიბის შესახებ. პოლიტკანის გამგე დაგვპირდა რამოდენიმე ბროშიურების გადმოცემას. ასეთი კავშირი ჩვენ ბევრ რამეს მოგვცემს და გაგვიადვილებს წვევამდელთა გაცნობას.

კ. ბალათურია.

## დავაარსეთ ავიოქიმისა და რემედასის უჯრედები.

3 მე ლეგ. სკოლა.

ლეგსკოლაში კარგა ხანია სწარმოებდა ავიოქიმისა და რემედასის უჯრედების დაარსების გარშემო მუშაობა, მაგრამ ამ უკანასკნელ ხანებამდე ვერ მოხერხდა. 13 ნოემბერს საფუძველი ჩაეყარა ამ საქმესაც. სკოლის შემადგენლობის საერთო კრებამ გადასწყვიტა უჯრედების დაარსება და აქვე იქნენ არჩეული უჯრედების ბიუროს წევრებიც.

არჩევნებამდე კრებაზე მოხსენებით გამოვიდა რემედასის შესახებ ამხ. როყვა, რომელმაც ფართოდ გააცნო ამხანაგებს ორგანიზაციის დანიშნულება. ბიუროს წევრებს დაევალათ ენერგიულად შეუდგენ მუშაობას. ავიოქიმის საზოგადოების ხელმძღვანელად არჩეული იქნა რვა კაცი, რომლებსაც უშუალო დამოკიდებულება ექნებათ ლეგიონის ავიოქიმის საზოგადოეასთან და მასი დირექტივებით აწარმოებენ მუშაობას.

სამხკორი ნიკა.

# პარტიული ცხოვრება

## მეორე ლეგიონში.

ლეგიონს ბევრი პარტამხანაგები მოევლინენ სოფლებიდან და ქალაქებიდან. ახალწვეულებში კი ახკომკავშირელები უფრო მეტია. პარტიის წევრები და კანდიდატები კი ძალიან ცოტა.

ბიუროკოლექტივმა მიიღო ზომები, რათა პარტ ამხანაგები ყველა უჯრედებში თანასწორად განაწილებულიყო.

თავიდანვე მიექცა ყურადღება და ყოველ უჯრედში თითქმის საკმარისი და კარგი ძალები არის.

კომუჯრედში აქედავე შეუდგენ პარტმუშაობის სათანადოთ ჩამოყალიბებას.

მუშაობა დღემდის ძალიან ჩამოყალიბებული იყო, მაგრამ ახალწვეულ ამხანაგების საშუალებით ვცდილობთ გავაძლიეროთ ის.

ვ. დ.

## წესრიგს არღვევენ.

1-ლი საკავშირო ასეული.

ასეულში უკვე დაგვირიგეს ტანსაცმელი და საზამთრო ჩაფხუტები. ასეულის უფროსმა ამასთანავე ბრძანება გასცა, რათა ფორმაში ეარათ ასეულის მთელ შემადგენლობას და ყველას ხურებოდა თავზე ჩაფხუტი. ამ ბრძანებას არ ასრულებენ უმწყობროები: გადამწერები, მეკუპნავე, ბიბგამგე და სხვა უმცროსი მეთაურები. ჩაიცვამენ შავს, ზოგი ნაცრის ფერ შარვლებს, თავზე კეპკას წამოისკუპებენ და ისე დაიარებიან ქალაქში. თუ ვინმემ რამე უთხრათ, ერთმანეთზე უთითებენ, იმას რად აცვიაო. საჭიროა მიაქციონ ამ გარემოებას ყურადღება ასეულის მესვეურებმა და ბოლო მოუღონ ამ უწესრიგობას,

სამხედრო ლალიჩასპირელი.

## კარგად მოვეწყვეთ.

4-ხე ლეგ. 5-თე ასეული.

სულ რამოდენიმე დღეა მას შემდეგ რაც მე-4 ლეგ. მე-5-თე ასეული შეუდგა ახალ ბინაზე მუშაობას. ჩამოსვლისთანავე მთელი შემადგენლობა ჩაება ბინის მოწყობის საქმეში და დიდი მუშაობის შემდეგ ახალ ბინაზე ასეული უკვე გაიმართა და დაიწყო სხვა და სხვა კულტ-განმანათლებელი საქმიანობა. დიდი ყურადღება ქონდა მიქცეული ლენინის კუთხის მუშაობას, რამაც უკვე გამოიღო შესაფერი ნაყოფი. ამასთანავე ერთად ასეულს დიდი მუშაობა აქვს კედლის გაზეთის გამოშვებისთვის. ჩვენს მუშაობას და ხალისს თან დაერთო ისიც, რომ წითელ ყაზარმას ყოველ დღე ნახულობენ სტუმრები და ეცნობიან ჩვენს მდგომარეობას. ამით ეტყობათ, რომ დაინტერესებული არიან ჩვენი სამხედრო საქმეშით. მუშაობა შეუჩერებლივ სწარმოებს, უფ-შემადგენლობასთან ერთად ხელი ხელ ჩაკიდებული.

მეთ. ა. ხიტირია.

## აგვიდუღეთ წყალი.

5-ე ტერლეგიონი.

ჩვენს გაზეთის ფურცლებზედ არა ერთხელ ყოფილა დაწერილი უსუფთაობის შესახებ, მაგრამ ლეგიონის მედპერსონალმა ამას არავითარი ყურადღება არ მიაქცია. ყოველდღიურად ლეგიონში „ბოჭკით" მოაქვთ მდინარე რიონიდან წყალი, რომელსაც არც ასუფთავებენ, არც ადუღებენ და პირდაპირ წყლის ჰურჭელში ასხამენ, რომელსაც ხარბად სვამენ ჩვენი წითელი არმიელები. ასეთს უსუფთაო წყალს შეუძლია გამოიწვიოს ავადმყოფობა.

ყოველივე ამის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ლეგიონის უფრ. ექიმმა მიაქციოს ყურადღება და აგვაცილოს ყოველგვარი ავადმყოფობის საფრთხისაგან.

სამხკორი სინუსი.

## მოაგვარეთ სასადილოს საქმე.

მე-3 ლეგიონი,

მე-3 ლეგიონის სასადილოში არ არის დაცული სისუფთავე. სულ სდგას ორად-ორი მაგიდა, რომლებსაც არავინ არ ასუფთავებს. დასაჯდომი სკამები სასადილოში არ მოიპოება. ამის გამო წითელ არმიელები ზოგი მაგიდაზე ჯდებიან, ზოგი იატაკზე და ისე შეექცევიან სადილს.

სასადილოში არ არის აგრეთვე განათება. ვახშამის ჭამა გვიხდება ღამეში. ერთმანეთს ვერ ვარჩევთ.

მოაგვარეთ სასადილოს საქმე.

ვ—ი.

# ახალი ამბები.

— ქალაქის კეთილმოწყობის განყოფილებამ გადასწყვიტა ნაძალადევის მუშათა სახლიდან, რომელიც ამჟამად შენდება, გაიყვანოს ფართო ქუჩა ჩერქეზიშვილის ქუჩამდე.

— **სოფლის მეურნეობისათვის.** საქ. სასოფლო-სამეურნეო ბანკმა საზღვარ გარეთიდან გამოიწერა 460 ათასი მანეთის სას.-სამ. იარაღები, მათ შორის ტრაქტორებიც.

— **საკრედიტო ამხანაგობები.** სას.-სამ. ბანკს ამ ჟამათ მთელ საქართველოში მოწყობილი აქვს 123 საკრედიტო ამხანაგობა.

— **საქონლის შემოტანა.** ოქტომბრის განმავლობაში ბათომის ნავთსადგურის საშუალებით მიღებულია 400 ათასი ფუთი სხვა და სხვა საქონელი.

— **ძირითად კოოპერატივების შორის დასანაწილებლად** ცეკავშირმა ქუთაისის განყოფილებას გაუგზავნა ათასი ფუთი საპონი.

— **ახალი ქარხანა.** ამ დღეებში დამთავრდება აგურის ახალი ქარხანის აგება. დღემდე ტფილისში მუშაობდა 5 ქარხანა.

— **ვენერიულ ავათმყოფობასთან ბრძოლის მიზნით** ჯანსახკომი ქუთაისში ხსნის ვენერიულ დისპანსერს (საავათმყოფოს).

— **სოფლის მოსახლეობისათვის** შეღავათიან ფასებში დასარიგებლათ საქ. სას. სამ. ბანკმა საზღვარ-გარეთიდან გამოიწერა 20 ათასი ფ. გოგირდი და 40 ათასი ფუთი შაბიამანი.

## ამბები საქართველოს ყოველ კუთხეებიდან.

— **ოსეთის ავტონ. ოლქის** ცაკმა დაამტკიცა ცხინვალში განსაზღვრულ წესზე სახლების აღმშენებლობის გეგმა.

— **სამხრეთ-ოსეთის ტელეფონიზაცია.** სამხ. ოსეთის ცაკმა დაადგინა ყოველმხრივ ხელი შეუწყოს ოლქში ტელეფონის ქსელის გაფართოებას.

— **ფოსტა სვანეთში.** სვანეთის სამაზრო აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა ა. კ. ფ. ტ. კავშირის წინაშე, რათა სვანეთში ფოსტის შეტანაზ ოქტომბრიდან იწარმოოს მხოლოდ ზუგდიდის მიმართულებით, ვინაიდან ლეჩხუმზე ამ ხნიდან გზა იხურება.

— **ოზურგეთის აღმასკომმა** დაადგინა იშუამდგომლოს ტფ. კომუნ. ბანკის წინაშე ოზურგეთში კომუნ. ბანკის განყოფილების გახსნის შესახებ.

— **საჩუქარი პიონერებს.** ოზურგეთის აღმასკომმა პიონერების ორგანიზაციას გადასცა დახმარებით 250 მანეთი.

— **წითელი ჯვრის საზ.**ბამ დაადგინა ზუგდიდში და ახალციხეში მოაწყოს წით. ჯვრ. სამაზრო კომიტეტები.

# უცხოეთის არმიებში

**შვეიცარიის არმია.**

შვეიცარიის არმია ჩვენთვის მეტად საინტერესოა, როგორც ბურჟუაზიული ქვეყნის ცდა ცხოვრებაში განახორციელოს ხალხის შეიარაღების იდეა, ბურჟუაზიისავე ხელმძღვანელობით.

თუ რამდენად შესაძლებელია ეს, შეიძლება გამოვიყვანოთ შვეიცარიის არმიის 1924 წლის მანევრებიდან, რომლის შედეგები მხოლოდ ამ ჟამად იქნა გამოქვეყნებული პრესაში. უნდა ითქვას, რომ ეს დასკვნები არ არიან დამაკმაყოფილებელი ბურჟუაზიული სახელმწიფოებრიობის მილიციური სისტემისათვის. (შემდეგი იქნება)

# მეცნიერება და ტეხნიკა

**უზარმაზარი ელექტრონის მანქანა.**

გერმანიის ერთერთ ცნობილ ქარხანა—კრუპის ქარხანაში რომელიც იმყოფა ქ. ესსენში ჩამოსხმული იქნა წარმოუდგენელი სიდიდის—უზარმაზარი ელექტრონის მანქანის ერთი ნაწილი „სტანინა". მისი სიგანე უდრის 5 საჟენ ნახევარს და იწონის 38.000 კილოგრამს (2 ნახევარ ათას ფუთს). ის დამზადებულია უძლიერესი დინამო მანქანისათვის, რომელიც მიაწოდებს ენერგიას საფაბრიკო რაიონის მთელ სივრცეს.

**ახალი მიღწევები სატელეფონო კავშირის საქმეში.**

ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში (დიდი ხანი არ არის რაც დამთავრებული იქნა დიდი მანძილზე გამოსაყენებელი სატელეფონო-სატელეგრაფო ხაზი შემდეგ ქალაქებს შორის: ნიუორკისა და ჩიკაგოს შორის 1.500 კილომეტრზე მეტი მანძილი. ეს ახალი ამერიკული ხაზი წარმოადგენს მრავალ შტოიან კაბელს. მისი საშუალებით ერთდა იმავე დროს შეიძლება 250 კაცმა ილაპარაკოს და გადაცემული იქნეს 500 დეპეშა.

**ხელოვნური მდინარე.**

ამერიკაში რამოდენიმე წლის წინად დაშრა ერთი მდინარე, რომელიც წყალს აწვდიდა მრავალ რიცხოვან მცხოვრებლებით დასახლებულ სივრცეს. შედეგად მიიღეს ის რომ მთელი ეს მიდამოები გადაიქცა მწირ ნიადაგად და ალარაფერი მოდიოდა. მდინარის დაშრობა გამოიწვია, იმ ტბის დაპატარავებამ, საიდანაც დებულობდა მდინარე თავის სათავეს. რომ გამოებრუნებიათ ეს ადგილები ადამიანის საცხოვრებლად, ტბის პირას ამერიკელებმა დასდგეს უზარმაზარი მანქანები, რომლებსაც ამოჰქონდათ იქედან წყალი და დიდი მილების საშუალებით უშვებდენ დამშრალი მდინარის კალაპოტში. ასეთი წესით შესძლეს მდინარის კალაპოტის გავსება წყლით, რომელმაც ისევ მიიღო თავის წინანდელი სახე დაააყვავა ერთხელ გადამწვარი მიდამოები.

## პასუხი შეკითხვებზე.

**წ. ა. დუნდუას.** თქვენს ადგილზე თქვენი ძმის დატოვება არ შეიძლება. სამსახურის გათავების შემდეგ მოგეცემათ სამსახური პირველ რიგში, როგორც წ. არმიელს.

**ნ. ქუთათელაძეს.** მიწის გაყიდვა არ შეიძლება. მხოლოდ თქვენი უფლების გადაცემა შეგიძლიათ აღმასკომის ნებართვით.

**ნ—თს.** ჯამაგირი მოგეცემათ ნოემბრიდან, როგორც ზედმეტ მსახურათ დარჩენილს.

**დ. მ.** აღმასკომმა დახმარება უნდა აღმოუჩინოს თქვენს ოჯახს, თუ ასეთს საჭიროებს.

**კურსანტ გ. კურსანტების** სადალაქოსთვის ხელსაწყო უნდა შეიძინოს სამნეო ნაწილმა.

**ი. ლომიძეს.** ნებით დაქირავებულ წ. არმიელის საკუთრებას არ შეადგენს ტანსაცმელი.

**წ. ა. ლ—ს.** ოქტომბერში მიღებული ტანსაცმელი ნებით დაქირავებულ წ. ა. უვადო შვებულებაში წასვლის დროს არ გაყვება. მათ მიეცემათ მეორე ვადის.

**ვ. დ. წ. ა.** წელიწადში ეძლევათ სამ-სამი ცხვირსახოცი და პირსახოცი.

**წ. ა. ბურჯანაძეს.** ქმარს აქვს ორი წლის ტარების ვადა.

**ლეგბიბლიოთეკარს.** ბიბლიოთეკა მაშინ უნდა გაიღოთ, როცა ეს მოსახერხებელი იქნება წ. არმიელებისთვის.

**ა. ფულარიას.** თუ შტატით გათვალისწინებული ადგილი გიჭირავთ, მაშინ გერგებათ ზედმეტი ჯამაგირი, თუ არა და ჯამაგირს მიიღებთ, როგორც წ. ა.

**თაკოს.** თუ ვადა (ორი წელი) შეასრულა თქვენმა მაზარამ, გეკუთვნით ახალი.

**ბიბგამგეს.** ბიბლიოთეკაში მუშაობა სწარმოებს 6—7 საათის განმავლობაში.

**გვალიას.** სალერბო გადასახადისაგან თავისუფლდებიან წ. ა. და მათი ოჯახების თხოვნები, დაკავშირებული ერთიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფასთან.

**მ—იას.** ციხეში გატარებული დრო არ ჩაგეთვლებათ სამსახურათ.

## ჩვენი ფოსტა.

**ამხ. მეთვალყურეს.** თქვენი კორესპონდენციები „სიღნაღის მაზრის გლეხების საყურადღებოთ" და „თავმჯდომარისა და მდივნის ჩხუბი" გადაეგზავნა გაზ. „ახალი სოფლის" რედაქციას.

**ამხ.** ამხ. სწორს (პირველი ლეგ.), **გ—შვილს** (მე-3 ლეგ.), **ნი-ს** (1-ლი არტლეგ.), **კენჭაძეს** (მე-3 ლეგიონი), თქვენი კორესპონდენციები: „გულს ნუ დაგვწყვეტთ, ნუ გვატყუილებთ", გუშაგების შესახებ, ტანისამოსზე და „ჩვენი თხოვნა არ უნდა დარჩეს უყურადღებოთ", გადაეგზავნა სათანადო ნაწილების უფროსებს შესაფერი ზომების მისაღებათ.

**ამხ. ახალწვეულს.** (მეთაურთა სკოლა) თქვენი წერილის მეორე ნაწილი კარანტინიდან გაყვანისა და მუშაობის შესახებ გადაეგზავნა სკოლის სამხკომს.

**ამხ. პ. ბედოევს.** თქვენი ლექსი „შვებულის მოთქმა" სუსტია. არ გავა.

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

მე-2 ქ. მ. ტ. დ. ცალკე საკავშირო და მესანგრე ასეულის შეერთებულ კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადება პარტიის კანდიდატათ მიღების შესახებ შემდეგ ამხანაგებს: 1) მგელაძე დიმიტრი ვლადიმერის ძე (წ. არმ. კ. კ. წევრი 1924 წლიდგან. ოზურგეთის მაზრის სოფ. აკეთი). 2) როსნაძე ივანე (უპარტიო წითელ არმიელი, რაჭის მაზრის ს. სორი). 3) ლოსაბერიძე ვასილი (წითელ არმიელი, უპარტიო, ქალაქ ბათუმის მცხოვრები.

თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო აქვს აღნიშნულ ამხანაგების კ. პ. კანდიდატებათ მიღების შესახებ, გთხოვთ გვაცნობოთ ერთი კვირის განმავლობაში. ხელმოუწერელი წერილები არ მიიღება.

უჯრედის პ.-მგ. მდივანი მ. სიხარულიძე.

ნ. დ. ს. ც.
სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.
პასუხისმგებელი რედაქტორი ლ ჩანტლაძე.